

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №487

2011 წლის 21 დეკემბერი

ქ. თბილისი

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს რეზოლუციების შესრულების საკითხებზე მომუშავე სამთავრობო კომისიის შექმნის შესახებ

საქართველოს მთავრობის 2013 წლის 9 სექტემბრის დადგენილება №231 – ვებგვერდი, 10.09.2013წ.

მუხლი 1. „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის 13¹ მუხლის მე-7 პუნქტისა და „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, შეიქმნას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს რეზოლუციების შესრულების საკითხებზე მომუშავე სამთავრობო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

საქართველოს იუსტიციის მინისტრი, კომისიის თავმჯდომარე;
საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილე, კომისიის თანათავმჯდომარე;
საქართველოს მთავარი პროკურორის მოადგილე;
საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე;
საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილე;
საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს წარმომადგენელი;
საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე;
საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილე;
საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე;
საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კონტრტერორისტული ცენტრის (დეპარტამენტის) უფროსი;
საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების საქართველოს სასაზღვრო პოლიციის უფროსი;
საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შემოსავლების სამსახურის უფროსის მოადგილე;
საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსი;

საქართველოს დაზვერვის სამსახურის უფროსი;
საქართველოს ეროვნული ბანკის წარმომადგენელი.
საქართველოს მთავრობის 2012 წლის 13 დეკემბრის დადგენილება №467 – ვებგვერდი, 14.12.2012წ.
საქართველოს მთავრობის 2013 წლის 25 აპრილის დადგენილება №91 – ვებგვერდი, 29.04.2013წ.
საქართველოს მთავრობის 2013 წლის 9 სექტემბრის დადგენილება №231 – ვებგვერდი, 10.09.2013წ.

მუხლი 2. (ამოღებულია).

საქართველოს მთავრობის 2012 წლის 13 დეკემბრის დადგენილება №467 – ვებგვერდი, 14.12.2012წ.

მუხლი 3. დამტკიცდეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს რეზოლუციების შესრულების საკითხებზე მომუშავე სამთავრობო კომისიის თანდართული დებულება.

საქართველოს მთავრობის 2013 წლის 9 სექტემბრის დადგენილება №231 – ვებგვერდი, 10.09.2013წ.

მუხლი 4. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი ნ. გილაური

შეტანილი ცვლილებები:

1. საქართველოს მთავრობის 2012 წლის 13 დეკემბრის დადგენილება №467 – ვებგვერდი, 14.12.2012წ.
2. საქართველოს მთავრობის 2013 წლის 25 აპრილის დადგენილება №91 – ვებგვერდი, 29.04.2013წ.
3. საქართველოს მთავრობის 2013 წლის 9 სექტემბრის დადგენილება №231 – ვებგვერდი, 10.09.2013წ.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს რეზოლუციების შესრულების საკითხებზე მომუშავე სამთავრობო კომისიის დებულება

საქართველოს მთავრობის 2013 წლის 9 სექტემბრის დადგენილება №231 – ვებგვერდი, 10.09.2013წ.

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს რეზოლუციების შესრულების საკითხებზე მომუშავე სამთავრობო კომისია (შემდგომში - კომისია) შექმნილია საქართველოს მთავრობის დადგენილებით.



2. თავის საქმიანობაში კომისია ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებით და რეზოლუციებით, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით, საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით.

3. კომისია, მასზე დაკისრებული ამოცანების შესრულების მიზნით თანამშრომლობს საქართველოს და უცხო ქვეყნების შესაბამის სახელმწიფო ორგანოებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან.

4. კომისიის სტრუქტურა, უფლებამოსილება და საქმიანობის წესი განისაზღვრება ამ დებულებით.

საქართველოს მთავრობის 2013 წლის 9 სექტემბრის დადგენილება №231 – ვებგვერდი, 10.09.2013წ.

მუხლი 2. კომისიის სტრუქტურა

1. საქართველოს მთავრობა დადგენილებით განსაზღვრავს კომისიის შემადგენლობას. კომისიის თავმჯდომარეა საქართველოს იუსტიციის მინისტრი, ხოლო კომისიის თანათავმჯდომარე – საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილე.

2. კომისიის შემადგენლობიდან წევრის გამოწვევა ხდება საქართველოს მთავრობის მიერ საკუთარი ინიციატივით ან კომისიის წევრის წარმდგენი ორგანოს წინადადებით.

3. კომისიის ტექნიკურ უზრუნველყოფას ახორციელებს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საერთაშორისო საჯარო სამართლის დეპარტამენტი. დეპარტამენტის უფროსი ამავდროულად არის კომისიის მდივანი.

საქართველოს მთავრობის 2012 წლის 13 დეკემბრის დადგენილება №467 – ვებგვერდი, 14.12.2012წ.

მუხლი 3. კომისიის ამოცანები

კომისიის ამოცანებია:

ა) გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (შემდგომში - გაერო) წესდების VII თავის შესაბამისად გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ მიღებული რეზოლუციებით (შემდგომში - გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციები) გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფა;

ბ) ქმედითი ღონისძიებების გატარება ტერორიზმთან დაკავშირებულ პირთა და გაეროს რეზოლუციებით განსაზღვრულ სხვა პირთა მიერ საქართველოში საექსპორტო და საიმპორტო კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქციის შემოტანის ან/და გატანის, მათი თავისუფალი მიმოსვლის, მათ მიერ ქონების გამოყენების ან ტერორიზმის მხარდასაჭერად მიმართული სხვა ქმედებების აღსაკვეთად.

საქართველოს მთავრობის 2013 წლის 9 სექტემბრის დადგენილება №231 – ვებგვერდი, 10.09.2013წ.

მუხლი 4. კომისიის უფლებამოსილება

დასახული მიზნებისა და ამოცანების განსახორციელებლად კომისია უფლებამოსილია:

ა) გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციებში მითითებული პირების ქონებაზე ყადაღის დადების თაობაზე მიმართოს სასამართლოს;

ბ) გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების შესაბამისად, უცხო ქვეყნის ან / და ქვეყნის შიგნით არსებული კომპეტენტური ორგანოების დასაბუთებული მიმართვის საფუძველზე შეიმუშაოს ტერორიზმთან დაკავშირებულ პირთა სია და მასში მითითებული პირების ქონებაზე ყადაღის დადების თაობაზე მიმართოს სასამართლოს;

გ) მის მიერ შემუშავებული ტერორიზმთან დაკავშირებულ პირთა სიიდან პირის ამოღების შემთხვევაში მიმართოს სასამართლოს ამ პირის ქონებაზე ყადაღის მოხსნის თაობაზე;

გ¹) საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 21³⁴ მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში სასამართლოს მიმართოს იმ პირთა ქონების ყადაღისგან გათავისუფლების შუამდგომლობით, რომელთა ქონებას ყადაღა დაედო გაეროს წესდების VII თავის შესაბამისად მიღებული რეზოლუციების შესრულების მიზნით;

დ) კომისიაში შესული საჩვრები გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციებიდან პირის ამოღების ან / და მის ქონებაზე ყადაღის მოხსნის შესახებ ან გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციებით დადგენილი სანქციების გაუქმების შესახებ განხილვისათვის გადაუგზავნოს გაეროს შესაბამის ორგანოს;

ე) განახორციელოს მონიტორინგი კომისიის მიმართვის საფუძველზე სასამართლოს მიერ გამოყენებული ყადაღის ღონისძიების სათანადო აღსრულებაზე;

ვ) კანონმდებლობით დადგენილი წესით საქართველოს სახელმწიფო ორგანოებიდან და დაწესებულებებიდან გამოითხოვოს თავისი საქმიანობისათვის საჭირო ინფორმაცია;

ზ) განახორციელოს მასზე დაკისრებული სხვა უფლებამოსილებები.

საქართველოს მთავრობის 2013 წლის 9 სექტემბრის დადგენილება №231 – ვებგვერდი, 10.09.2013წ.

მუხლი 5. კომისიის სამუშაო ჯგუფი

1. კომისია თავის შემადგენლობაში ქმნის სამუშაო ჯგუფს, რომელიც უფლებამოსილია:

ა) გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციებით დადგენილი სანქციების შესრულების მიზნით, მიმართოს შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს, კონკრეტულ პირებზე ან კონკრეტული სახელმწიფოების მოქალაქეებზე საქართველოს ვიზის ან საქართველოს ტერიტორიაზე შემოსვლის



ნებართვის არგაციის შესახებ;

ბ) გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციებით დადგენილი სანქციების შესრულების მიზნით, მიმართოს შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს, საექსპორტო და საიმპორტო კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქციის იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტის, ტრანზიტის, დროებითი შემოტანის ან/და გატანის ნებართვების გაცემაზე შეზღუდვების დაწესების შესახებ;

გ) განახორციელოს მონიტორინგი მის მიერ დაწესებული შეზღუდვების შესრულებაზე;

დ) კანონმდებლობით დადგენილი წესით საქართველოს სახელმწიფო ორგანოებიდან და დაწესებულებებიდან გამოითხოვოს თავისი საქმიანობისათვის საჭირო ინფორმაცია.

2. კომისიის სამუშაო ჯგუფს ხელმძღვანელობს კომისიის თანათავმჯდომარე, რომელიც წარმოადგენს მას მესამე პირებთან ურთიერთობაში და ხელს აწერს სამუშაო ჯგუფის მიერ მიღებულ დოკუმენტებს.

3. კომისიის სამუშაო ჯგუფის საქმიანობის ორგანიზაციულ-ტექნიკურ და ინფორმაციულ უზრუნველყოფას ახორციელებს სამუშაო ჯგუფის აპარატი.

საქართველოს მთავრობის 2013 წლის 25 აპრილის დადგენილება №91 – ვებგვერდი, 29.04.2013წ.

საქართველოს მთავრობის 2013 წლის 9 სექტემბრის დადგენილება №231 – ვებგვერდი, 10.09.2013წ.

მუხლი 6. კომისიის მუშაობის ორგანიზაცია

1. კომისიას ხელმძღვანელობს და მის სხდომებს წარმართავს კომისიის თავმჯდომარე.

2. კომისიის თავმჯდომარე ხელს აწერს კომისიის მიერ მიღებულ დოკუმენტებს და წარმოადგენს კომისიას მესამე პირებთან ურთიერთობაში.

3. კომისიის თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში მის უფლებამოსილებას ახორციელებს კომისიის თანათავმჯდომარე ან კომისიის თავმჯდომარის მიერ უფლებამოსილი სხვა პირი.

4. კომისიის თავმჯდომარე უფლებამოსილია მოახდინოს საკუთარი უფლება-მოვალეობების ან მისი ნაწილის დელეგირება კომისიის სხვა წევრზე.

5. კომისიის ორგანიზაციულ-ტექნიკურ და ინფორმაციულ უზრუნველყოფას ახორციელებს კომისიის მდივანი.

6. კომისიის მდივანი კომისიის წევრებს ატყობინებს სხდომის ჩატარების თარიღს და უგზავნის მათ სხდომის დღის წესრიგს; ხელმოსაწერად ამზადებს კომისიის სხდომის ოქმებს და საოქმო ჩანაწერს უგზავნის კომისიის წევრებს; ახორციელებს კომისიის გამართული მუშაობისათვის საჭირო სხვა უფლებამოსილებას.

7. კომისიის სხდომები ტარდება კომისიის თავმჯდომარის მოწვევით ამ დებულებით გათვალისწინებული საკითხების განხილვის მიზნით.

8. კომისიის სხდომის დღის წესრიგს ამტკიცებს კომისიის თავმჯდომარე.

9. კომისიის სხდომაზე საკითხის გატანის უფლება აქვთ კომისიის თავმჯდომარეს და წევრებს.

10. კომისია უფლებამოსილია, თუ მას ესწრება კომისიის წევრთა ნახევარზე მეტი. კომისიის გადაწყვეტილება მიიღება დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით. ხმათა თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია თავმჯდომარის ხმა.

11. კომისიის სხდომა ფორმდება ოქმით, რომელსაც ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე და მდივანი.

საქართველოს მთავრობის 2012 წლის 13 დეკემბრის დადგენილება №467 – ვებგვერდი, 14.12.2012წ.

საქართველოს მთავრობის 2013 წლის 25 აპრილის დადგენილება №91 – ვებგვერდი, 29.04.2013წ.

მუხლი 7. სასამართლოსადმი მიმართვა

1. კომისიის თავმჯდომარე ან მის მიერ განსაზღვრული კომისიის წევრი უფლებამოსილია მიმართოს სასამართლოს გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციებში მითითებულ პირთა ქონებაზე ყადაღის დადების ან ქონების ყადაღისგან გათავისუფლების შესახებ.

2. კომისია უფლებამოსილია შეიმუშაოს ტერორიზმთან დაკავშირებულ პირთა სია და მიმართოს სასამართლოს აღნიშნულ სიაში მითითებული პირების ქონებაზე ყადაღის დადების თაობაზე.

3. ტერორიზმთან დაკავშირებულ პირთა სიაში პირის დამატების ან/და მის ქონებაზე ყადაღის დადების თაობაზე უცხო ქვეყნის ან/და საქართველოს კომპეტენტური ორგანოს შუამდგომლობას კომისია განიხილავს მისი მიღებიდან გონივრულ ვადაში და იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:

ა) შუამდგომლობის დაკმაყოფილების და პირის ტერორიზმთან დაკავშირებულ პირთა სიაში დამატების შესახებ, რის შემდეგაც მიმართავს სასამართლოს ამ პირის ქონებაზე ყადაღის დადების თაობაზე;

ბ) ინიციატორი მხარისათვის დამატებითი ინფორმაციის მოთხოვნის შესახებ;

გ) შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

4. დაინტერესებული პირის შუამდგომლობის საფუძველზე, იმ შემთხვევაში, თუ კომისიის მიერ გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ პირი, რომლის ქონებასაც ყადაღა დაედო, არ წარმოადგენს გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციაში მითითებულ პირს, კომისია უფლებამოსილია მიმართოს სასამართლოს აღნიშნული პირის ქონების ყადაღისაგან გათავისუფლების თაობაზე.

საქართველოს მთავრობის 2013 წლის 9 სექტემბრის დადგენილება №231 – ვებგვერდი, 10.09.2013წ.

მუხლი 8. სახელმწიფო ორგანოებისადმი მიმართვა

1. გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციებით დადგენილი სანქციების შესასრულებლად



კომისიის სამუშაო ჯგუფი უფლებამოსილია მიმართოს შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს, კონკრეტულ პირებზე ან კონკრეტული სახელ მწიფოების მოქალაქეებზე საქართველოს ვიზის ან საქართველოს ტერიტორიაზე შემოსვლის ნებართვის არგაციის შესახებ.

2. გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციებით დადგენილი სანქციების შესასრულებლად კომისიის სამუშაო ჯგუფი უფლებამოსილია მიმართოს შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს, საექსპორტო და საიმპორტო კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქციის იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტის, ტრანზიტის, დროებითი შემოტანის ან / და გატანის ნებართვების გაცემაზე შეზღუდვების დაწესების შესახებ.

3. კომისიის სამუშაო ჯგუფის მიმართვა შესასრულებლად სავალდებულოა შესაბამისი სახელმწიფო ორგანოებისათვის.

საქართველოს მთავრობის 2013 წლის 9 სექტემბრის დადგენილება №231 – ვებგვერდი, 10.09.2013წ.

მუხლი 9. კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრება

1. პირს უფლება აქვს გაასაჩივროს კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება კომისიაში ან სასამართლოში.

2. საჩივრის განხილვის შედეგად კომისია იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:

- ა) საჩივრის დაკმაყოფილების შესახებ;
- ბ) საჩივრის არდაკმაყოფილების შესახებ.

3. საჩივრის დაკმაყოფილების შემთხვევაში კომისია იღებს პირს ტერორიზმთან დაკავშირებულ პირთა სიიდან და მიმართავს სასამართლოს მისი ქონების ყადაღისაგან გათავისუფლების შესახებ.

4. კომისიას უფლება აქვს საჩივრის ავტორს მოსთხოვოს დამატებითი ინფორმაცია.

5. გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციებით დადგენილი სანქციების სუბიექტის საჩივარს რეზოლუციებიდან ამოღების ან/და მის მიმართ გამოყენებული სანქციების გაუქმების შესახებ კომისიის თავმჯდომარე გონივრულ ვადაში უგზავნის გაეროს უშიშროების საბჭოს და მიღებული გადაწყვეტილების შესახებ აცნობებს საჩივრის ავტორს.

საქართველოს მთავრობის 2013 წლის 9 სექტემბრის დადგენილება №231 – ვებგვერდი, 10.09.2013წ.

მუხლი 10. კომისიის სამუშაო ჯგუფის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრება

1. პირს უფლება აქვს გაასაჩივროს კომისიის სამუშაო ჯგუფის მიერ მიღებული გადაწყვეტილება კომისიის სამუშაო ჯგუფში ან სასამართლოში.

2. საჩივრის განხილვის შედეგად კომისიის სამუშაო ჯგუფი იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:

- ა) საჩივრის დაკმაყოფილების შესახებ;
- ბ) საჩივრის არდაკმაყოფილების შესახებ.

3. კომისიის სამუშაო ჯგუფს უფლება აქვს საჩივრის ავტორს მოსთხოვოს დამატებითი ინფორმაცია.

4. კომისიის სამუშაო ჯგუფის მიერ საჩივრის დაკმაყოფილებისას სამუშაო ჯგუფი მიმართავს შესაბამის სახელმწიფო ორგანოს საჩივრის ავტორის მიმართ დაწესებული შეზღუდვების გაუქმების თაობაზე.

